საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 20 0001123236

25/11/2020

„ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ-აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების" საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 21 ოქტომბრის №1019978 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ-აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების" საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 21 ოქტომბრის №1019978 გადაწყვეტილების მე-6 პუნქტში და დანართი №1-ში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1.1.გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 21 ოქტომბერს";

1.2 დანართი №1-ის მე-16 პუნქტში მიეთითოს - ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი - 2020 წლის 21 ოქტომბერი;

1.3 დანართი №1-ის მე-18 პუნქტში მიეთითოს - აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი - 2022 წლის 21 ოქტომბერი";

2.საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის N1123190 სხდომის ოქმის N01 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1

მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ.ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, No6, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა